ცნობის ფურცელი

№ 2094 ოთხშაბათი, 12 მარტი **1896—1903** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 2094**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შორაპნის მაზრის მარშალი თავ. **სვიმონ დავითის ძე წერეთელი** და **ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. პეტერბურგში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ბიძაშვილი, ქართველი პოეტი,

თავ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე

და სთხოვენ მათ მობრძანდნენ კვირას, 16 მარტს ქ. ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში, სადაც **იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის** მიერ გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. ამავე დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის საგვარეულო მონასტერში ს. კაცხში. მიცვალებულის გვამი დროებით დაკრძალულ იქმნება ქ. პეტერბურგში. (რ. 3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათ $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ა. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ალექსანდრის ქუჩის დასაწყისში). **ტელეფონი № 274** (წ.

წარმოდგენა 42—4. ტელეფონი 617

ქართული თეატრი
კვირას, 16 მარტს, 1903 წ.

◆ **ს. სვიმონიძის საბენეფისოდ** ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

პირველად ახალი პიესა

I

მურად-ფაშა
ისტორ. დრამა 4 მოქმედებ. ბ-ლისა, აზრი აღებულია მეტერლინკის „მონნა ვანადან“.

II

ბედნიერი ცოლქმრობა
ვოდევ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ.ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, დედაბრიშვილი, იორდანოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად გ. იბსენის პატივსაცემლად „ნორა“, „მედეია“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ხუთშაბათს, 13 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბის სადგომში შესდგება საზოგადო კრება **საიმპერატორო** საგეოგრაფო რუსეთის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. კრებაზე განყოფილების ნამდვილი წევრი **ქ. ი. პოდოზერსკი** წაიკითხავს მოხსენებას „კავკასიის მთავარ უღელტეხილის სანჩარის ბილიკი და სოფ. ფსხუ“. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ უფასოდ. (ო. 3—2)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, **№ 22**, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

კბილის ექიმი

ივანე ზაალის ძე

ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—10 საათ. და **11—2**-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელ[illegible]ის ქუჩა, 38. (წლ.

† გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ამ დღეებში, პეტერბურგში გარდაიცვალა ახალგაზდა ქართველი მგოსანი თავ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე.

საბრალო გრ. აბაშიძე უკვე რამდენიმე წელიწადია გამოესალმა ქართულ მწერლობასა და ყოველ ქართულ საქმეს, რადგან სულით ავადმყოფობამ შეიპყრო და უნუგეშო მდგომარეობაში იყო. განსვენებული ნიჭიერი პოეტი იყო და სულ 5—6 წლის განმავლობაში დიდ-ძალი ლექსი შეჰქმნა და სთარგმნა, რომელნიც იბეჭდებოდა ყველა ჩვენ პერიოდულ გამოცემაში; ხოლო ორის წლის წინად ქუთაისის გამომც. ამხანაგობამ ცალკე წიგნადაც გამოსცა ბევრი მათგანი. გარდა ამისა, განსვენებული 1893—96 წლებში დაახლოვებულ მონაწილეობას იღებდა „ივერიის“ რედაქციაში, სადაც ლექსებს გარდა დაუწერია ბევრი ფელეტონი, წერილები ამა თუ იმ საზოგადო საქმისა გამო, შენიშვნები და სხვა. გრ. აბაშიძე ცოცხალი, მჭევრმეტყველი და სიტყვა-მახვილი ახალგაზდა იყო; ნიჭის შესაფერისი ცოდნა და განვითარება რომ ჰქონოდა, მაშინ, უეჭველია, მისი მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში საკმაოდ დიდი იქმნებოდა. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ბევრი რამ ხელ-შემშლელი გარემოება გადაეღობა წინ და ახალგაზდა ნიჭიერი კაცი ადრევე დაიღუპა...

ვუთხრათ, ქართველო მკითხველო, საუკუნო განსვენება ამ ტანჯულ ადამიანსა და უდროოდ დაკარგულს ქართველ მგოსანს.

ქალაქის შემწეობა ბეჭდვითი საქმის მუშაკთ

ჩვენ მოგვივიდა ქალაქის საბჭოს იმ კომისიის დადგენილება, რომელსაც დაევალა შემუშავება თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის წინადადებისა და საბჭოს გარდაწყვეტილებისა რუსულ პრესსის 200 წლის იუბილეის სახსოვრად რაიმე კეთილის საქმის დაარსების შესახებ.

მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის საბჭომ ამ დღის აღსანიშნავად გარდასწყვიტა: 1) დაარსდეს ორი სტიპენდია ტფილისის საშუალო სასწავლებლებში ბეჭდვითი საქმის მუშაკთა შვილების (ვაჟისა და ქალის) აღსაზრდელად; 2) დაარსდეს მიხეილის საავადმყოფოში ერთი კრაოტი ამავე ავადმყოფ მუშაკთათვის; შემდეგ, როცა გაიხსნება ქალაქის საავადმყოფო, ეს კრაოტი იქ უნდა იქმნას გადატანილი და 3) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ქალაქის მმართველობას ნება მიეცეს გამოსცეს თავისი პერიოდული გამოცემა. ამ პროექტის დაწვრილებით განხილვისათვის არჩეულ იქმნა ცალკე კომისია, რომელსაც უკვე დაუსრულებია თავისი საქმე და ახლა ადგილობრივ გაზეთებსა სთხოვს თავიანთი აზრი გამოსთქვან.

პროექტის განხილვის დროს კომისიას თავისი ყურადღება შემდეგ საკითხებზე მიუქცევია: 1) სახელდობრ ვის უნდა აღმოეჩინოს შემწეობა ქალაქის სტიპენდიითა და კრაოტით? ამის გამო კომისიას დასკვნაა: რადგან საქმე გამოწვეულია პრესსის 200 წლის იუბილეით, ამიტომ შემწეობა უნდა აღმოეჩინოს სწორედ პრესსის მუშაკთ—ლიტერატორებიდან დაწყებული ასოთამწყობებამდე. 2) ამ შემთხვევაში, კომისიის აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტფილისის პერიოდულ გამოცემათა მუშაკთ და ტფილისის მცხოვრებთ. 3) შემწეობის რაოდენობა კომისიას აღუნიშნავს: ა) სტიპენდიისა 120 მანათი წელიწადში (მოსიარულე მოსწავლისათვის) და ბ) კრაოტისა 144 მ. წელიწადშივე. 4) სტიპენდიის დანიშვნა და კრაოტით სარგებლობის ნების მიცემა უნდა დაევალოს, დასკვნის კომისია, შეერთებულს სხდომას ტფ. ქალაქის გამგეობისას და საბჭოს ორის წარმომადგენლისას (უმთავრესად ლიტერატორთაგან).

ეს არის კომისიის დადგენილება, რომელიც, ჩვენის ფიქრით, საკმარისად სავსედ აძლევს პასუხს საბჭოს საზოგადო გარდაწყვეტილებაზე. შეგვიძლია მხოლოდ ორი შემდეგი გარემოება აღვნიშნოთ კომისიის საყურადღებოდ:

პირველ პუნკტის გამო, ჩვენის ფიქრით, უმჯობესი იქმნებოდა, კომისიას უფრო გარკვევით აღენიშნა—ბეჭდვითი საქმის რომელ მუშაკთ უნდა აღმოეჩინოს ესა თუ ის შემწეობა? თვით ეს შემწეობა მეტად მცირეა და ამიტომ მის განმანაწილებელთ უნდა იცოდნენ, ვის უნდა მისცენ უპირატესობა.

ფელეტონი

—

წერილი ხევსურეთიდან

ფშავ-ხევსურთა გაჭირვება.—საქველმოქმედოთ მოწოდება

ბევრჯელ ინატრებს კაცი, ნეტავ იყოს რამე საქმე, სამშობლოს გამოვადგეო და იმას კი არ დაუფიქრდება, რომ ფეხსაც ვერ გადასდგამს ის თავის სამშობლოს ნიადაგზე ისე, რომ მისს ნაკვალევს რაიმე მნიშვნელობა არ ჰქონდეს სამშობლოსათვის ავად თუ კარგად, ბევრად თუ მცირედ. კაცი, როგორც ნაწილი თავის დროისა და თავის გარემო წრისა, მართალია თავის-თავად ბევრს ვერას დაიქადებს, ნამეტნავად თუ იგი არ არის შემოქმედებითის ნიჭით დაჯილდოვებული, მაგრამ მაინც, როგორც უბრალო კოღოსაც შეუძლიან შეებრძოლოს ძლიერს ლომს და სუსტ ფუტკარსაც—სასწაულებრივი საქმე ჩაიდინოს, აგრეთვე ყოველს ქონდრის კაცსაც კი და განსაკუთრებით იმ პირთ, რომელთაც მოაქვთ თავი მამულისშვილობით, ყოველთვის შეუძლიანთ რაიმე სამსახური გაუწიონ ქვეყანას. ამ შემთხვევაში ვერც ისინი ადრეკენ მხარს, რომელთაც სამშობლო პირდაპირ არ დაჰხმარებია გამოზრდაში. დღევანდელი ჩვენი ვინაობა არის ნაწარმოები არა ერთის თაობისა და ორისა, არამედ ასის და ათასისა. ბალღმაც კი უნდა იცოდეს, რომ თუ ჩვენთ მამა-პაპათ არ მოეხვეჭნათ ჩვენთვის ზნეობრივი საუნჯე და ქონებრივი ძალა, ჩვენ ბევრად არავინ შემოგვხედავდა, ჭიან ტყემალსაც არ მოგვცემდა, არამც თუ თავის თბილს ქურქში გავეხვივნეთ და თავისი მაშინკა გვერდით მოესვა. დიახ, ასეა და ეს მცირედი ან-ბანური ფილოსოფია ურიგო არ იქმნება ყოველთვის თვალ-წინ ვიქონიოთ და ახლაც წინ წარვიმძღვაროთ. საუკეთესო დროც არის ეხლა, როდესაც ყველა ჩვენგანი დღეში სამჯერ მაინც მიიწვევის ამ ორმეოცის მარხვაში სულის საქმეზე ამ სიტყვებით: ვიყვნეთ მღვიძარენი სულითა, გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყველანი სტუმარნი ვართ ამ სოფლისა და დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოგველის განსვლა ამიერიდან და რა წაყვების თანა „თუ არა საქმე კეთილი“. ვქმნათ საქმე კეთილი! ნუ დავივიწყებთ დიდის მოძღვრის სიტყვებს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ჩვენ მოკლედ ვუჩვენებთ კეთილს და ხელმისაწდომ საქმესაც თუ ყველასათვის არა, იმათთვის მაინც, ვისაც ეს პირდაპირ ექვემდებარება. გეტყვით. სხვათა უბედურებათა შორის ერთი ჩვენის ქვეყნის კუთხე, სადაც ათი ათასი მაინც იქმნება მცხოვრები, სახელდობრ, ფშავ-ხევსურეთი, მთლად მოკლებულია მკურნალს და სამკურნალოს. ეს გარემოება მეტის-მეტად მძიმე ლოდად აწევს ამ ქვეყანას და ხსნა არსაიდან არ არის. თქვენ არ დაიჯერებთ და მართალი კი არის, აქ ერთად-ერთი წამლობა იციან—დარიშხანა და პილპილი,—სხვა არაფერი. ექიმის გამოცხადებას ამ ქვეყანაში კოსმიურ მოვლენად სთვლიან და ახალს ერას იწყობენ აქედან. ეს მოხდება ხოლმე ზაფხულობით იმ შემთხვევაში, თუ ხევსურთ ერთ-ურთი დასჩეხეს ან სასიკვდილოს მისცეს, ისიც ოცში ერთხელ, დანარჩენ შემთხვევებში ძროხების მიცემით თავდება საქმე. აქ კაცი რამდენსამე ძროხად და ხარად არის დაფასებული და მერჯულენი დაუსხდებიან და ისინი გაასამართლებენ ხოლმე—რამდენი ძროხა რა დაშავებისთვის და სიკვდილისთვის უნდა მიუზღოს. ამითი თავდება ხოლმე საქმე. მაგრამ ამაზე მერე მოვილაპარაკოთ. ექიმის მოსვლა ჩვენში კიდევ მაშინ მოჰხდება, როდესაც რომელიმე გადამდები სენი მთელს ხეობას მოლეწავს ხოლმე. ყოველ სხვა დროს, როცა ჩვენ გვიჭირს მკურნალი და ვილევით ორ გვარის შიშით—ავადმყოფობით და უპატრონობით, მაშინ ექიმი სიზმრად თუ მოგვეზმანება, თორემ ცხადლივ საით რას ვეღირსებით. ეს ბოროტება უფრო მძაფრობს ზამთრობით, როდესაც იკვრის ბარიდან მომავალი გზა, სწყდება მთასა და ბარს შორის კავშირი და ჩვენც ერთმანეთში ხუნჩებით და წრიაპებით-ღა დავდივართ. ამ ხნობით შველას ვერსაით ვპოვებთ დაუძლურებულნი და დაავადებულნი.

ამისთვისაც არის, რომ ყველა უფრთხის ამ მხარის სამსახურს და ისიც ხანგძლივად. თუ ვინმე თავზე ხელ-აღებული არ არის, თუ ვისმე საქმე ისე არა აქვს დამდგარი, რომ თოკი-ღა ეპირებოდეს ყელზე, ძნელად თუ ვინმე გაჰბედავს აქეთ წამოსვლას. ყველა აქ მოსამსახურე პირი სულ იმას ოცნებობს და ნატრობს, ჩქარა მოჰშორდეს ამ არე-მარეს.

შემწეობის მთხოვნელები, ალბათ, ორივე კათეგორიის იქმნებიან: რედაქციაში მომუშავენი და სტამბის მუშაკნი. ამათში, ჩვენის აზრით, უპირატესობა უკანასკნელთ უნდა მიეცეს. ჩვენს მხარეში გაზეთის შრომა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა პროფესიად, რომელიც საქმესა და ცხოვრების სახსარს აძლევდეს მრავალ პირს; ასეთების რიცხვი, რომელნიც მხოლოდ გაზეთში შრომით ცხოვრობდნენ, მცირეა. ყოველ შემთხვევაში მათი ნივთიერი მდგომარეობა უფრო უზრუნველ ყოფილა, ვიდრე ასოთ-ამწყობთა და სტამბის სხვა მუშაკთა, რომელნიც, გარდა ამისა, პროფესსიონალ გაზეთზე მომუშავეთა ჯგუფს შეადგენენ და სხვა საქმისათვის ისე აღარ გამოდგებიან. სამწუხაროდ, დღემდის არ იქმნა და არ მოხერხდა ჩვენში ბეჭდვითი საქმის მომუშავეთათვის დამხმარებელ საზოგადოების დაარსება. ამგვარი საზოგადოება, რა თქმა უნდა, ცოტაოდნათ მაინც გააუმჯობესებდა ხსენებულ მუშაკთა მდგომარეობას; ხოლო რა-კი ის ჯერ არ დაგვიარსებია, უმჯობესი იქმნებოდა ის მცირე შემწეობა, რომელსაც ქალაქი იღებს, უმთავრესად სტამბაში გაზეთებზე მომუშავეთ ერგოს..

მეორე გარემოება, რომელიც ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, შეეხება შემწეობის განაწილებისა და კრაოტის დანიშვნის საქმეს. ჩვენის ფიქრით, კარგი იქმნება ამ მუხლს დაემატოს, რომ, როდესაც ტფილისში დაარსდება ბეჭდვითი საქმის მომუშავეთა საზოგადოება, ქალაქი ამ საზოგადოებას მიანდობს „საქალაქო სტიპენდიისა" და „საქალაქო კრაოტის" დანიშვნის საქმეს, რადგან მას უკეთ ეცოდინება, მთხოვნელთა შორის ვის უფრო ესაჭიროება დახმარება.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. როგორც დეპეშებიდან ვიცით, საფრანგეთის სამინისტრომ ბრწყინვალედ გაიმარჯვა ოპოზიციაზე კონგრეგაციის კითხვის საქმეში. ეხლა გაზეთებში მოყვანილია კამათის პირველ სხდომის ანგარიში. განსახილველი იყო ოცდა-ხუთ კონგრეგაციის თხოვნა სწავლების ნება-რთვის შესახებ. ოპოზიცია მღვდელ გეიროს პირით თხოულობდა, რომ თხოვნები საგანგებო კომისიისათვის გადაეცათ. მიზანი ასეთ წინადადებისა ცხადია—საქმის დაუსრულებელი გაჭიანურება. ოპოზიციის მეორე წევრმა მთავრობის ეხლანდელი პოლიტიკა ეკკლესიისა და სარწმუნოების წინაამდეგ მიმართულ ბრძოლად მონათლა. კამათში ცხარედ ჩაერია ცნობილი დეპუტატი და მინისტრად ნამყოფი ბარტუ, რომელიც ზომიერების მტკიცე ბურჯი იყო ერთ დროს. ბარტუს სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. „ბოლო უნდა მოეღოს კონგრეგაციების აუტანელ გაუმაძღრობასო, უთქვამს ორატორს. თქვენ (კონსერვატორები) ჰკითხულობთ, თუ ვისის სახელით ვლაპარაკობთ აგრე? საარჩევნო უფლების სახელით. არჩევნების დროს ამომრჩეველი ვალდეკ-რუსსოს კანონის სასარგებლოდ თუ წინაამდეგ აძლევდა ხმას. მე ვთხოულობ, რომ უარი ეთქვას ყველა კონგრეგაციებს და სკოლების გახსნის ნება არ მიეცესთ. პარლამენტის უმრავლესობამ უნდა არჩევანი ჰქნას რევოლიუციის ტრადიციებსა და 1850 წლის კანონის ტრადიციებ შუა; ფალუს კანონი (სწავლების თავისუფლებაზე) გავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მონტალიამბერმა აღუთქვა პრინც პრეზიდენტს (შემდეგ ნაპოლეონ მესამეს) სამი მილიონი ხმა კათოლიკებისა. აქ ნამდვილი ვაჭრობა იყო და სხვა არაფერი.

არც ფალუს კანონი აძლევდა ნებას კონგრეგაციებს სკოლები გაეხსნათ. რესპუბლიკა არ ჩაიდენს იმას, რაც იმპერიამ ჩაიდინა. მე არ ვეხები იმ კითხვას, მისდევენ თუ არა კონგრეგაციები პოლიტიკას. მე ვიცი, რომ ისინი არ ზოგავენ არც რესპუბლიკას, არც პრეზიდენტს, არც პარლამენტის უმრავლესობას. აი ხელთა მაქვს ერთი იეზუიტის შედგენილი ბროშიურა, რომელშიაც ავტორი საზიზღარ შეურაცხყოფით აღსავსე ბრალსა სდებს რესპუბლიკის პრეზიდენტს. სამის წლის წინად მეორე იეზუიტი საჯაროდ ქებას ასხამდა იმ ფრანგებს, რომელნიც თავის სამშობლოს წინაამდეგ იბრძოლებენ". რესპუბლიკელების უმრავლესობამ დიდი ოვაცია გაუკეთა ორატორს.

შიში, რომ კომბის სამინისტროს მდგომარეობა ვერ არის მტკიცედ, ჯერ-ჯერობით უსაბუთო გამოდგა. უმრავლესობა მტკიცედ მომხრეობს თავის სურვილების აღმასრულებელ მთავრობას.

ინგლისი. მკითხველს ეცოდინება ირლანდიელ დეპუტატ ლინჩის ამბავი. ირლანდიელი პატრიოტი ლინჩი ბურების რაზმში იბრძოდა ინგლისელ ჯარის წინაამდეგ. ინგლისელებზე გაბოროტებულ ირლანდიელებმა აირჩიეს ლინჩი გალვეის ოლქის დეპუტატად. ინგლისის მთავრობამ სამართალში მისცა ლინჩი როგორც მოღალატე. სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ მეფემ სიკვდილი სამუდამო დატუსაღებით შეუცვალა. ამბობენ, მალე სრულებით აპატიებენ ყველაფერსო.

ლინჩის მაგიერი დეპუტატი უნდა აერჩიათ გოლვეიში. კანდიდატად გამოცხადდა მხოლოდ ერთი, სახელდობრ ნაციონალისტი დევლინი, რომელსაც მხარს აძლევდა ირლანდიის შეერთებული ლიგა, და, რასაკვირველია, არჩეულ იქმნა.

1900 წლის არჩევნებზე გაიმარჯვა კონსერვატორმა; 1901 წელს აირჩიეს ნაციონალისტი ლინჩი უნიონისტ პლონკეტის წინაამდეგ, წელს-კი უნიონისტებმა ვერც-კი გაბედეს თავის კანდიდატის წამოყენება.

ასე იზრდება და მტკიცდება ირლანდიელების ეროვნული საქმე.

✦ დიდი საქმის გაკეთება შესძლებია საზოგადოებას, თუ მის თავისუფალ განვითარებას ხელს არ უშლიან და არა მკითხე უკიდურეს მზრუნველობით ხელ-ფეხს არ უბორკავენ. საუკეთესო მაგალითი თავისუფალ საზოგადოების მოქმედების უნარის ინგლისის ქალაქებია. ავიღოთ მარტო ერთი მხარე ქალაქის მოღვაწეობისა, სახელდობრ სანიტარული ნაწილი. ოთხმოციან წლების რეფორმის ძალით ინგლისის ქალაქებს მიენიჭათ მეტად ვრცელი და სრული ავტონომია. ქალაქის საქმეები სავსებით ქალაქის წარმომადგენლების ხელშია და ადმინისტრაცია ვერ ჩაერევა.

ქალაქები პირველად ყოვლისა შეუდგნენ სანიტარულ საქმეს და თუ რა გააკეთეს ამ მხრივ, შემდეგ ციფრებიდან სჩანს; თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისის ჰავა საზოგადოთ სალი არ არის. ჯერ კიდევ რომის მწერალ ტაციტუსს ჰქონია აღნიშნული ბრიტანიის სქელ ნისლის მავნებელი გავლენა ადამიანის სისაღეზე. მიუხედავათ ამისა ეხლა ლივერპულში ათასზე კვდება 20,7, მანჩესტერში—20,9, ნოტინგემში—17,6, შეფილდში (აქ ივლისშიაც-კი შავი ნისლი სდგას)—16,4, ლონდონში—16,3, ნორტგემპტონში 15,1, იორკში—15, როდინგში—10,4, ნენდსუორტში—8,2. რუსეთში საზოგადოთ ათასზე კვდება—33,53. მოსკოვში ორჯელ მეტი კვდება, ვიდრე ლონდონში, რომელიც განთქმულია თავის შავ და ყვითელ ნისლით.

ეს შესძლებია ნამდვილ თვით-მართველობას და შეუკვეცელ საზოგადოებრივ ინიციატივას.

იტალია. ცნობილია, რომ რომის კათოლიკე ეკკლესიებში წირვა-ლოცვის ენა ლათინურია. ეს გარემოება ხელს უშლიდა ბევრში კატოლიციზმის უფრო მეტ გავრცელებას. მხცოვან ლეონ მეცამეტეს ეხლა მეტად გონიერი ღონისძიება მიუღია, როგორც ამას „რონიტერ ორიანტალ"-ი იტყობინება: ლეონ მეცამეტემ ნება დართო აღმოსავლეთის კათოლიკე მრევლს ლათინურის მაგიერ სამშობლო ენაზე ჰქონდეთ წირვა-ლოცვა. ამ ნებართვით პირველად უსარგებლნია ათინის კათოლიკე მრევლს და საბერძნეთის ჟურნალ-გაზეთობაც დიდის თანაგრძნობით შეხვედრია ამ რეფორმას.

საფიქრებელი არისო, ამბობს ხსენებული გაზეთი, რომ კათოლიკე ბერძნებს მალე წაბაძავენ კათოლიკე სლავიანები ავსტრო-ჰუნგრეთში და ბოლგარიაში და კათოლიკე რუმინები ბუკარეშტში და იასაში. ეს ცვლილება პაპის პირად ინიციატივის შედეგია; იგი მეტად საყურადღებო ცვლილებაა ვატიკანის პოლიტიკისა სხვა ეროვნებათა კათოლიკების მიმართ.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ქალაქის გამგეობას შეადგინოს და წარუდგინოს ინსტრუქცია ქალაქის ტეხნიკოსთა სახელმძღვანელოდ.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად ბ-ნმა მ. ჯანაშვილმა რუსულად გადასთარგმნა ვახუშტის მიერ შედგენილი საქართველოს გეოგრაფია. კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა ამ თხზულების გამოცემას.

✦ 10 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა გუბერნატორის ბრძანების გამო, თვით განაგოს სახელოსნო და საპროფესიონალო სასწავლებლების საქმეები. კერძოდ ეს საქმეები მიენდო გამგეობის მეორე განყოფილებასა და წევრს კოკჩაევს.

✦ საკანდიტეროების მოსამსახურეებმა სთხოვეს სახელოსნო გამგეობას დააწესოს იმათთვის კვირა-უქმეობით დასვენება. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და დაადგინა საკანდიტეროებში მორიგეობა იქმნას შემოღებული: კვირა-უქმეობით ზოგმა დილის 8-დან 12 საათამდე იმუშაოს, ზოგმა კიდევ შუადღიდან საღამოს 8 საათამდე. მაგრამ საკანდიტეროების პატრონებს არ მოეწონათ ეს დადგენილება და ეხლა სახელოსნო გამგეობამ დანიშნა საკანდიტეროებში მოსამსახურეთა საზოგადო ყრილობა ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ 10 მარტს ქალაქის პირველ ნაწილში არსებულ საპარიკმახეროების მოსამსახურეებმა განცხადება გადასცეს ქალაქის მოურავს. თხოულობენ იმათთვისაც დაწესდეს კვირაობით დასვენება. ერთი წუთი თავისუფალი დრო არა გვაქვსო, სწერენ მოსამსახურენი.

✦ რკინის გზაზე ბრძანება გაუციათ ტელეგრაფის ხელობა შეისწავლონ სხვა და სხვა მოსამსახურეებმა, როგორც, მაგალ., კასსირებმა, საქმის მწარმოებლებმა, ამწონებმა, კანტორის გამგეებმა, კონდუქტორებმა და სხვებმა. სავალდებულოა ეს ბრძანება იმათთვის, ვინც 45 წლისა არ არის. ვინც არ შეისწავლის, იმას წარმატებას არ მისცემენ. ახალ მოსამსახურესაც არ მიიღებენ, თუ ეს ხელობა არ იცის.

✦ ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილია სავალდებულო დადგენილებანი ქუჩებში ყრილობათა აღკრძალვის შესახებ. ამასთან გუბერნატორს გამოუცია ახალი სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც კვირაობით საპარიკმახეროები და სადალაქოები უეჭველად უნდა დაიკეტოს. ეს უკანასკნელი დადგენილება ძალაში შევა 15 მარტიდან.

✦ სოხუმის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს შესდგეს ამ ქალაქში ქალაქის გამგეობა მოურავისა და ორის წევრისაგან. დღეს სოხუმში გამგეობა არ არსებობს, არის მხოლოდ მოურავი და იმისი თანაშემწე.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად საგუბერნიო გამგეობის მინდობილებით ამ გამგეობის მოხელემ ტირიუტინმა ტფილისის სახელოსნო გამგეობის რევიზია მოახდინა. რევიზორს მრავალი შეცდომა და უწესოება აღმოუჩენია გამგეობისა და ამქრების ქაღალდებში. გუბერნატორმა აცნობა ეს გარემოება სახელოსნო გამგეობას, გაუგზავნა რევიზიის პირი და დაავალა ექვსის თვის განმავლობაში უსათუოდ შეასწოროს ყველა ნაკლულევანება. ექვსის თვის შემდეგ მოჰხდება მეორე რევიზია. ხელოსანთა მოურავმა თავის მხრივ უბრძანა უსტაბაშებს, შეასწორონ ყველა ნაკლულევანება და ამასთან დაავალა წიგნები უსათუოდ რუსულს ენაზე აწარმოონ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ალექსანდრეს ბაღის შუა ადგილას რუსთა მწერლის გოგოლის ძეგლის დადგმას. ძეგლს აკურთხებენ 19 მარტს.

✦ კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოების გამგეობა საზოგადოების ხარჯით შეუდგა

თვით ადგილობრივნი მკვიდრნიც თავიანთ თავს „შავის კლდეების ეშმაკებად" უწოდებენ და ასე მიესალმებიან ყოველს მიმსვლელს: „რაისად მოეთარები ამ ოხერ ქვეყანას, აბა რაი არის თუ არა ოხერი, რას ჰხედავ შავის კლდის მეტს? აქ მოსამსახურ ვერ გასძლებს. ზაფხულს კი მოვლენ, როგორაიც მერცხალნი, მაგრამ ზამთრივ აქ ძნელად თუ ვინმე დარჩებით." სწორედ ასეც არის, ყველანი უფრთხიან ფშავ-ხევსურეთის ცივს ზამთარს. კიდევ არა უშავს-რა ივრის ხეობას თიანეთ ზევით, მაგრამ ღმერთმა შეინახოს არაგვის ხეობა და პირიქით ხევსურეთი. აქ ყოველს ფეხის გადადგმაზე შიშის ზარი გცემს თავში. დღე მუდამ გესმის: ზვავმა კაცი მოიტანაო, არაგვში გადავარდაო, ქისტებმა მოჰკლესო და სხ. თვით ხევსურნი ასე იტყვიან: „რაისად ჰგზავნიან ბარის კაცს ციმბირად, გამოგზავნონ არხოტში და მაშინ ნახვენ, თუ საით უფრო ემჯობის კაცის დასჯა". აბა ახლა ვიფიქროთ: როგორ უნდა აიტანონ ამ ქვეყანაში მომწყვდეულთ ცხოვრების სიმძაფრე? ნურას ვიტყვით იმაზედ, რომ ქერის პური (აქ სხვა თესლეული პური არ მოდის) გირვანქა ორი შაურია, შეშა—ოქროზედ ძვირია (ხევსურეთში ტყე არ არის), ქათამი ორ გირვანქიანი 1 მან., ნავთი გირ. 20 კაპ. და სხვ. ხომ არც იშოვება და არც იყიდება, ეს სიდუხჭირე და აუტანლობა ორკეცდება, როდესაც ზედ ერთვის ზამთრობით განსაკუთრებით უექიმობა და უწამლობა. ან ვინ ოხერი ექიმი გაჰბედავს ზამთრობით ხევსურეთში ახედვას, ზაფხულობითაც ბევრს თავრეტს ასხამს იქ მოგზაურობა. ყოფილა მაგალითები, რომ შიშის ზარს ლასტის ხიდიდამ აღელვებულს არაგვში გადაუგდია. ან ვინ რა უნდა უძღვნას ისეთი ჯილდო, რომ ამან წაიტაცოს ვინმე ექიმი. ხომ გაგიგონიათ, როგორიც ქვეყანა იყო, ისეთი ნადირი გამოდიოდაო, როგორიც შავი კლდეებია ხევსურეთში, როგორიც მწირი მოსავალი იცის ყოველისფრისა, ისეთივე ფუღარა და შიშველაა ხალხიც. ხევსურის ქონება შესდგება რამდენიმე ქვაბისაგან, თხის მომსხო ოთხი-ხუთი ძროხისაგან, ულელი ხარისგან და ერთი ჯორაკასაგან, ეს არის და ეს მისი სიმდიდრე. ადგილობრივ მცხოვრებნი ფშაველებიც ბევრად არ წაუვლენ წინ ხევსურთ ცხოვრების სიმდიდრით; ისინიც ღარიბნი და ბეჩავნი არიან. თუ ვისმე ვხედავთ ფშაველს ცხვრის ან ძროხის პატრონად, ისინი დიდის ხნის მოშორებულნი არიან ამ კლდეებს და ერწო-თიანეთს ბინადრობენ. იმათ აქ აღარ უდევთ წილი არაფერში და მარტო სახელსდა ატარებენ ფშავლის ან ხევსურისას და ზაფხულობით მოდიან სალოცავად კოპალეს და ლაშარის ჯვარს.

საქმე სწორედ სამწუხაროდ არის დაყენებული და რა ეშველების, ან ვინ უშველის, ეს არის საკითხი? მაგალითებისათვის შორს არ გვინდა წასვლა: შარშან ზამთარს გახდა ავად ფილტვების ანთებით ს. ხოშკის მღ. და მთელის სამოცის ვერსის მანძილზედ რაინდულად თავ-გადადებით მანდილ-მოსხმულმა მისმა მემცხედრემ ხუნჩებით გადმოვლო მთის მწვერვალი და ჩამოიყვანა საკაცით ცოცხლად ბარად საშველ ალაგას. ასეთივე დღე დაადგა ს. ხახმატის მღვ. და დღესაც ვერ განთავისუფლებულა. და რა ესენი, დღე ისე არ გაივლის, ვინმე ხევსური არ იდგეს ჩემს კარზედ და არ მემუდარებოდეს: ბალღი, ცოლი, მამა დედა და სხ. მყავს ავაიდ და თუ რაიმე წამალი მოგეპოვების, გვიწყალობეო. რა ვქნათ ჩვენ დამეხილებმა, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ მათს თხოვნას. ძველად ყოფილა აქ რაღაც აფთიაქი და იმ უღმერთოს ვისმე წაუტანია. ეხლა აღარ მოგვეპოება ერთი მისხალი ხინაც და ერთი კოვზი ზეთიც. და აი ჩვენი სათხოვარიც: მოგვხედეთ, გვიპატრონეთ, დაუნიშნეთ ფშავ-ხევსურეთს ერთი გამოცდილი ფერშალი (ვინ გვაღირსებს ჩვენ დოქტორს) თავის აფთიაქით, რომ უბრალო წამლობის ღირსნი მაინც შევიქნეთ. ეს თუნდ ჩვენივე ხარჯით მოგვეცეს, უარს როგორ ვიტყვით. არიან დღეს ჩვენში ისეთნი პირნი, რომელთაც, თუ შეგნება აქვთ ქრისტიანულის ძმათ-მოყვარეობისა, შეუძლიანთ გვიშუამდგომლონ მთავრობის წინაშე ამ საქმეზე. ჩვენც ქრისტიანები ვართ, ნუ დაგვხოცავთ უწამლოდ და უყურადღებოდ.

მინამ კი ვთხოვ ყველას: ქართველს, რუსს თუ სომეხს, ყოველს მეაფთიაქეს და წამლების გამყიდველთ, ყოველს ფერშალს, ექიმს და კეთილს მონას ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს—გვიწყალობონ ცოტა რამ წამლეულობა ამ ადრესით: Черезъ М. Тіонеты, с. Барисахо, школьной аптекѣ.

ფშავ-ხევსურეთის ბლ. მღ. ი. სხტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ გამოცემას ბ-ნ ა. **ხახანაშვილის** თხზულებისას: „რა სამზღვრებში სცხოვრებდნენ ქართველები ძველს დროს მცირე აზიაში".

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქალაქის გამგეობამ განიზრახა მიხეილის ქუჩაზე არსებულ, ეგრედ წოდებულ ნემეცთა **არხის გაუქმება**. ამისთვის განსაკუთრებული კომისიაც დანიშნა. ეხლა კომისიის ერთმა წევრმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ არხი კერძო კაცთა საკუთრებას შეადგენს და თუ იმის გაუქმება საჭირო, ქალაქმა უნდა გამოისყიდოს, რასაც 80,000 მანეთამდე დასჭირდებაო.

◆ **ხორცის დუქნების** გამგემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა დუქნების გამგე კომისიას. გამგეს აზრით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაიმართოს 4 ახალი დუქანი კიდევ. 7 დუქნის მოსაწყობად ქალაქს დასჭირდება 25,000 მან., რასაც დუქნები გაისტუმრებენ 10 წლის განმავლობაში. საწარმოვო თანხად წელიწადში დუქნებს დასჭირდებათ 65,000 მან. და სათადარიგო თანხად 75,000 მან.

◆ მიწის-ძვრის შემდეგ ახალქალაქში, გადასწყვიტეს იქ **სეისმიურ სადგურის** გამართვა. 8 მაისს ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის დირექტორი ბ-ნი გლასეკი წავიდა ახალქალაქს ამ სადგურის გასამართავად.

◆ პეტერბურგის **სატყეო** ინსტიტუტს წელს ესრულდება არსებობიდან ასი წელიწადი. ამის გამო გაიმართება საიუბილეო დღესასწაული 19 მაისს. ინსტიტუტის მთავრობამ შეატყობინა ეს ამბავი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა მონაწილეობა მიიღოს საიუბილეო დღესასწაულში.

◆ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, რკინის გზის იმ შენობაში, სადაც სასადილოა, შეუდგნენ **ეკკლესიის** გამართვას. აკურთხებენ ამ ეკკლესიას 25 მარტს. აზრადა აქვთ, წირვა-ლოცვის გარდა, ამ ეკკლესიაში გამართონ ხოლმე ზნეობრივ-სარწმუნოებრივი საუბრები.

◆ უმაღლესს მთავრობას, როგორც „ნოვ. obოზრ."-ს ატყობინებენ, შეუწყნარებია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა **ხონის საოსტატო სემინარიის** შენობის გადაკეთებისა და გაფართოვების შესახებ. ამ საქმისათვის ხაზინიდან გადაუდვიათ 51,970 მანეთი.

◆ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ტფილისის დედათა **წმ. ნინოს სასწავლებლის** უფროსი კნ. შახოვსკაია თანამდებობას თავს ანებებს.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „სიმღერა", ლექსები აკაკისა. წიგნაკი გამოცემულია ს. მერკვილაძის მიერ და ღირს სამ შაურად. წიგნში აკაკის სურათიც არის მოთავსებული.

◆ წარსულ კვირაში ტფილისის ოლქის სასამართლოს უნდა განეხილა დავა, ქალაქის თვითმართველობასა და ქანანოვსა და კარგარეტს შორის ატეხილი 20,000 ოთხ. კ. საჟ. მიწის გამო. მომჩივნებმა საქმის გარჩევის დროს სასამართლოს წარუდგინეს 7 ახალი საბუთი, რომლითაც ამტკიცებენ, რომ მიწა იმათ ეკუთვნით. ოლქის სასამართლომ საქმის გადაწყვეტა სხვა დროისთვის გადასდო.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ოლქის სასამართლომ ისაკ დანდუროვს მიუსაჯა 1000 მან., რომელიც უნდა გადახდეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. სამეურნეო საზოგადოების ვექილმა განაჩენის პალატაში გასაჩივრების ვადა დაჰკარგა და ითხოვა ნება მისცენ ამ ვადის შემდეგ გასაჩივრებისა. სასამართლომ სამეურნეო საზოგადოების ვექილის განცხადება განიხილა, უყურადღებოდ დასტოვა იგი და დაამტკიცა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საზოგადოებას 1000 მან. უნდა გადახდეს.

◆ იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც კერძო გამსესხებელ კასსების რევიზია უნდა მოახდინოს ხოლმე, არჩეულ იქმნა ხმ. სუხანიშვილი.

◆ 10 მარტს არღუთინსკის ქუჩაზე დაინგრა ორ-სართულიანი სახლი ხეროდინოვისა. ეს სახლი ტეხნიკოსებმა ჯერ ისევ ამ ერთის წლის წინად იცნეს საშიშოდ და მდგმურები გამოაყვანინეს, მაგრამ სახლის პატრონმა არაფერი იზრუნა. უბედურება არა მომხდარა-რა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის თვით-მართველობას განუზრახავს ქალაქის საშუალებით ქუთაისში ტელეფონის გამართვა. ჯერ-ჯერობით 70 აბონენტი ჩაწერილა. პროექტს უკვე ადგენენ. როგორც გამოანგარიშებულია, ტელეფონის გამართვა დაჯდება 15,000 მანეთი.

◆ 20 მარტისთვის ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც იჯარით გაიცემა ხონისა, გელათისა, ახალ-სენაკ-ნაქალაქევისა, ზუგდიდ-სენაკისა და ნატანებ-ოზურგეთის გზატკეცილების შეკეთება.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმის მთავარმა გამგეობამ სამს ადგილობრივს გაზეთს კიდევ გამოუცხადა გაფრთხილება სხვა-და-სხვა წერილების დაბეჭდვისათვის.

◆ შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთში არსებულ ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უფლება მიეცეს გამოიწეროს საზღვარ-გარეთიდან სხვა-და-სხვა თესლეული უბაჟოდ და უგადასახადოთ, რომელსაც სავაჭრო მოწმობისთვის იხდიან. შუამდგომლობენ აგრეთვე, რომ ის საზოგადოებანი, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო იარაღის საწყობები აქვთ, განთავისუფლდნენ სავაჭრო მოწმობების აღებისაგან.

◆ მოსკოვში შემოდგომიდან არსდება საკომერციო კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლად საკომერციო სასწავლებელთათვის. ლექციების კითხვას შეუდგებიან 9 სექტემბრიდან. ჯერ-ჯერობით ერთი განყოფილება (ფაკულტეტი) იქმნება—საბუღალტრო. სხვა დროისთვის გადასდეს დანარჩენ განყოფილებათა (საკომერციო არითმეტიკისა და სხვათა) გახსნა. ამ კურსებზე ქალებსაც თავისუფლად შეუძლიათ შესვლა.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ორშაბათის მორიგ კრებას პირველად მოხსენდა ხმოსან-ექიმის **იაგორ ბაბოვის** მოხსენება შესახებ იმისა, რომ საბჭომ განსაკუთრებითი კომისია აირჩიოს და დაავალოს ქალაქის ჯანმრთელობაზე იზრუნოს. ხმოსანი ამტკიცებდა: მართალია, ჩვენ სასანიტარო-საექიმო საბჭო გვყავს, სადაც ბევრი ექიმებია მიწვეული სამუშაოდ, რომელიც უპირველესად ამ საქმეს ემსახურება, მაგრამ ეს საბჭო თავისს დანიშნულებას ჯეროვანად ვერ ასრულებს. ავირჩიოთ ცალკე კომისია, რომელმაც ყოველივე საგანი ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა, საჭიროების მიხედვით, შეისწავლოს და საბჭოს მოახსენოს მისაღებად და მერე სავალდებულოდაცაო.

ამის პასუხად გამგეობის წევრმა თავ. **ჩერქეზიშვილმა** თავის-სახეთქი საგანი გადმოუგორა საბჭოს: არ ვიცი, რად დაინახა საჭიროდ ხმ. ბაბოვმა ცალკე კომისიის დანიშნვა, როცა სასანიტარო საექიმო დაწესებულება ათი წელიწადია არსებობს და თავისს მოვალეობასაც კარგად ასრულებსო. ბ-ნ ბაბოვს რომ დაესაბუთებინა თავისი მოხსენება ამ არსებულ დაწესებულების უვარგისობით ან სხვა რამეთი, კიდევ შეიძლებოდა ამ საგანზე სჯაბაასი, თორემ მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის სამზრუნველო დაწესებულება დიდი ხანია დაუარსებია ქალაქს, მშვენივრადაც ჰმოქმედებს და ახლა მოდის და კიდევ რაღაც უადგილო კომისიის არჩევას თხოულობსო.

გამწვავდა ბაასი: ხმოსანნი ხუდადოვი, გრიქუროვი, არშაკ ბაბოვი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ამტკიცებდნენ: ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭო მოსაწონად მოღვაწეობს, მაგრამ მაინც ვერ უწვდება ბევრ საქმეს, ხშირად ვერ ასწრობს თავისს მოვალეობის ასრულებას და ბევრი საყურადღებო საგანიც უყურადღებოდ რჩებაო. კომისია ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს გაუწევს ქალაქს: საჭირო საგნებს გამოიკვლევს, თუნდაც არსებულ საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს ამა თუ საჭიროებას და საბჭოს წარმოუდგენს განსახილველად და მისაღებადაო.

ხმოსანნი ხატისოვი და ვართანოვი წინააღმდეგი არ იყვნენ კომისიის არჩევისა, მაგრამ ამტკიცებდნენ: ბ-ნმა ბაბოვმა ვერ დაასაბუთა თავისი მოსაზრებანი ამ კომისიის არჩევის საჭიროებისა, ვერ გამოგვირკვევია, რა მოვალეობა უნდა ექნეს ამ კომისიას და როგორ იმოღვაწეოს ისე, რომ ეხლანდელს სასანიტარო საბჭოს მოქმედებას შევათანხმოთო; ამიტომ ვურჩიოთ ბ-ნ ბაბოვს, ეს საგანი კარგად განსაზღვროს და შემდეგ წარმოგვიდგინოს განსახილველადაო.

ღამის თერტმეტ საათის ნახევრამდე ამას ამტვრიეს თავი და ბოლოს ხმის უმეტესობით კომისიის არჩევა დაადგინეს.

მეორედ მოხსენდა საბჭოს, ხმ. ნ. ხუდადოვის მოთხოვნილების თანახმად, ქალაქის გამგეობის დადგენილება შესახებ იმისა, რომ „ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ" შეასრულოს ხელ-შეკრულობის მე-18 მუხლი, ე. ი. შეადგინოს ვაგონების მიმოსვლის წესები და განსაზღვროს თვით მიმოსვლაც იმ რიგად, რომ მცხოვრებლები შევიწროებულნი არ იყვნენო. როგორც მოხსენებიდან აღმოჩნდა, „ტრამვაის საზოგადოებას" ეს მოვალეობა აქამომდე არ აუსრულებია და ქალაქიც გაჩუმებული ყოფილა, არ ითხოვდა ამ მუხლის შესრულებას. თავისს მოხსენებაში გამგეობამ აღუთქვა საბჭოს, ამ სავალდებულო მოვალეობას „ტრამვაის საზოგადოების" ადმინისტრაციას ავასრულებინებთო. ხმ. ხუდადოვი მაინც არ გაჩუმდა და უსაყვედურა: არც გამგეობა და არც „ტრამვაის" გამგე საბჭოს მიერ არჩეული კომისია თავის მოვალეობას არ ასრულებენ, „უსახელო საზოგადოება"-ც უყურადღებოდ სტოვებს, რაც მცხოვრებთათვის საჭიროა. ამ წუთსვე მოსთხოვეთ მე-18 მუხლის შესრულება და, თუ დანიშნულს ვადაზე არ შეასრულეს, დიდი ჯარიმა გადაახდევინეთ. კმარა, სამი წელიწადია ამ მოვალეობას არ ასრულებდნენო.

„მონასტერი აირია"-ო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო, როცა საბჭო ბ-ნ რობის სათხოვარის გარჩევას შეუდგა. ბ-ნ რობის მინდობილობით, „უსახელო საზოგადოების" დირექტორს ბ-ნ რაგოლერს სათხოვარი მიუცია საბჭოსათვის, მთაწმინდაზე ფუნიკულერის გაყვანის ვადა გაგვიგრძელეთო. ფუნიკულერის გაკეთების იმედი ყველას დაკარგული ჰქონდა, ახლა კი ზოგს ამისი იმედი გაუცოცხლდა და სიხარულით მიეგება ბ-ნ რობის სათხოვარს. იგი ითხოვდა: 7 მარტს ვადა გამითავდა კონცესიისა; წარსულ თებერვალს უმაღლესად დამტკიცდა წესდება სააქციონერო საზოგადოებისა ამ ფუნიკულერის ასაშენებლად; სააქციონერო ფული ნახევრად შეკრებილიცა გვაქვს, მხოლოდ საკონცესიონერო ვადა აღგვიდგინეთ და საქმეს დავაგვირგვინებთო. დღიდან საბჭოს დადგენილების დამტკიცებისა ორი თვის ვადა მომეცით სააქციონერო საზოგადოების შედგენისათვისო და საზოგადოების დაარსების დღიდან კი წელიწად-ნახევრის ვადა ფუნიკულერის ერთიანად დასრულებისაო.

არავინ არ აღმოჩენილა ისეთი, რომ საკონცესიო ვადის გაგრძელების წინააღმდეგი ყოფილიყო, მაგრამ თვითონ ფუნიკულერის გაკეთებაზე ბევრმა შეიტანა ეჭვი: ვაი თუ კიდევ იმიტომ ჩამოგვიგორა ეს საგანი ხელში, ჩვენ საკამათოდ გაჰხადოს ბ-ნმა რობიმ, ნათხოვარი ვადა კონცესიისა მიიღოს, ამით ბევრს მცხოვრებს კიდევ მადა გაუხსნას მთაწმინდაზე ადგილების სყიდვა-გაყიდვისა, თვითონ ხელ-ახლა კიდევ ხელი მოითბოს და პირში ჩალა-გამოვლებული დაგვტოვოსო. ნაშუაღამევის პირველის ნახევარამდე ამ საგანზე ამტვრევდნენ თავს ხმოსნები, ვერ შეთანხმდნენ, რა პირობებით განვუგრძოთ ბ-ნ რობის საკონცესიო ვადა, რომ მართლა ვალდებულად გავხადოთ და დაპირებული ფუნიკულერი ავაგებინოთო. მაგრამ საბოლოოდ საგანი მაინც არ გადაწყდა, პრინციპიალად დაადგინეს მხოლოდ ერთი: გვსურს ვადა კონცესიისა განვუგრძოთ ბ-ნ რობის, ხოლო რა პირობებითაო—ამის განხილვა და გადაწყვეტა საბჭომ შემდეგ კრებისათვის გადასდო.

დაბა-სოფლები

აბაშა (სამეგრელო). უკვე ვაცნობეთ მკითხველს, რომ აბაშაში არსებობდა სამკითხველო და სამარხო კასსა და ორივემ წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენეს. არაფერი სასახელოა აბაშელებისთვის, რომ ერთად-ერთი სამკითხველოს მოვლა და პატრონობა ვერ შესძლეს. სამკითხველოსთვის თავდაპირველად არ იყო შეგროვილი საკმაო თანხა და არც დაარსების შემდეგ გამოუჩნდა გულ-შემატკივარი, რომ სიცოცხლე მიენიჭებინა. ასეთ დაუდევრობის გამო აბაშას ხელიდან გამოეცალა სამკითხველო და იმის ნაცვლად დარჩა რამდენიმე ასი ტომი წიგნი; ეს წიგნები დღეს ნაკეტილში ინახება. სამარხ კასსაც ასეთი დღე დაუდგა. როდესაც სამარხო კასსა დაიხურა, გადარჩა ას-სამოცდა-შვიდი მანეთი, რომელიც დღეს მიბარებული აქვს ორ სანდო კაცს. ამ ფულით, რასა თქმა უნდა, კასის ფეხზე წამოყენება არ შეიძლება და თანაგრძნობელიც ნაკლებად გამოუჩნდება. სამარხოს კასის ფულით-კი შეიძლება ადვილად აბაშაში დაარსდეს სამკითხველო. როგორც ვთქვით, რამდენიმე წიგნი არის, ამ ფულით შეიძლება სხვა წიგნები დაიბარონ და გაჩაღდება საქმე.

ჯიხაიშელი.

საამხანაგო წიგნის მაღაზიის აზრი

საამხანაგო წიგნის მაღაზიას, როგორც ყოველს სავაჭრო დაწესებულებას, აზრადა აქვს წესიერ ვაჭრობით დაიცვას ერთის მხრივ ამხანაგობის წევრთა (მაღაზიის მონაწილეთა) ინტერესები, მეორეს—ინტერესები მაღაზიის მუშტრებისა: წიგნების გამომცემლებისა და წიგნებისა და საკანცელარიო-სასკოლო ნივთების მყიდველებისა. ამ აზრის განსახორციელებლად საამხანაგო წიგნის მაღაზია ანუ წიგნების ვაჭრობის ამხანაგობა წევრად იღებს მაღაზიის მუშტრებს, ზემორე დასახელებულებს. ამხანაგობაში საწევრო ფულის შემოტანით მუშტრები იძენენ ხმას ამხანაგობის მართვა-გამგეობაში; ამით ერთდება გამყიდველისა და მყიდველის ინტერესები. ამას მოჰყვება შემდეგი სიკეთე: დღეს, მაგალითად, წიგნების გამომცემელი კერძო წიგნის მაღაზიებიდან, სადაც იმას საკომისიოდ გასასყიდად წიგნები ჩაუბარებია, ორ-სამ წელიწადს ვერ ღირსებია ანგარიშის მიღებას; საამხანაგო მაღაზიიდან კი, სადაც ისიც ამხანაგად იქმნება, წელიწადში ორჯელ მიიღებს გაყიდულ წიგნების ანგარიშს; გარდა ამისა, წიგნის გამომცემელს საამხანაგო მაღაზია გამოცემისთვის ფულსაც ათხოვებს. ამისთვის მაღაზიის წმინდა მოგებიდან 20% გადაიდება თანხის შესადგენად ყოველ წელიწადს. ამ თანხით მაღაზია კონკურენციას კი არ გაუწევს წიგნების გამომცემელს, პირიქით, დაეხმარება, როგორც ზევით იყო ნათქვამი, და ფულის სესხებით და წიგნების გასაღებით ხელს მოუმართავს.

ასეთსავე სამსახურს გაუწევს მაღაზია წიგნების მყიდველებს და სასკოლო თუ საკანცელარიო ნივთების მუშტრებს. ესენი დღეს დიდად გაჭირვებულნი არიან მით, რომ ვერ უშოვნიათ დროზე ესა თუ ის წიგნი, ესა თუ ის ნივთი და მაღაზიიდან მაღაზიებში და იქიდან სხვა-და-სხვა საკანცელარიო საჭიროებათა დუქნებში სირბილით ჯანს ჰკარგავენ და საქმეს მაინც ვერ აღწევენ. ამ გაჭირვებას ითმენენ თვით ქალაქში მცხოვრებნი; რა მდგომარეობაში იქნებიან სოფლელები—ეს ადვილი წარმოსადგენია. საამხანაგო მაღაზია სოფლებშიაც იმავ ფასებში გაჰყიდის წიგნებსა და ნივთებს, როგორც ქალაქში; გარდა ამისა, წლიურ წმინდა მოგებიდან 20%-მდის გადასდებს ამხანაგ მუშტრების პრემიად, დანარჩენი წმინდა მოგებისა (60%) განაწილდება დივიდენდად პაიებზე.

არა გვგონია, ხსენებულმა საამხანაგო წიგნის მაღაზიამ, რომლის დაარსებაც ქუთაისის გუბერნიაში განუზრახავთ წიგნის მაღაზიების პატრონებს, ვნება რამე მოუტანოს ქუთაისის წიგნის გამომცემ ამხანაგობას და კონკურენცია გაუწიოს. პირ-იქით, ახალ ამხანაგობის დახმარებით ძველს შეუძლიან თავისი მოქმედება გააორკეცოს, თუ კი მოისურვებს ამ ამხანაგობის წევრობას და იმის დახმარებით სარგებლობას.

ნესტორ წერეთელი.

პასუხად ბ-ნს Д. В—ъ-ს

როდესაც კაცი ისეთს სიცრუით სავსე წერილს წაიკითხავს, როგორიცაა ბ-ნ Д. В—ъ-ის „Кутаисскія замѣтки", „Тифлисскій Листок"-ის მე 49 ნომერში მოთავსებული, არც კი გინდა პასუხი გასცე მის ავტორს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ხან-და-ხან სიჩუმეს თანხმობის ნიშნადა სთვლიან, და, რომ ასე არავინ იფიქროს, იძულებული ვარ ორიოდე სიტყვით აღვნიშნო, თუ რამდენად მართალია ბ-ნ Д. В—ъ ის შენიშვნები. მხოლოდ მე არ მსურს [illegible] და არა მკითხველთვის გამოვესარჩლო ქალაქის გამგეობას, რომელმაც თავისი საქმე თვითონ უკეთ იცის და, თუ საჭიროდ დაინახავს, პასუხსაც

Дозв. ценз. Тифлисъ, 11 Марта 1908 г.

გასცემს. შევეხები წერილის მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც აღწერილია ეკლარის ქვის მადნის უნუგეშო მდგომარეობა, რომლის მიზეზადაც ბ-ნი Д. В—ъ სრულიად შუბლ შეუხრელად ეკლარის მმართველს სთვლის. დავიწყოთ თავიდან. შენიშვნების ავტორი ბრძანებს: „ქალაქმა იმ მიზნით დაიწყო ეკლარის ქვის მადნის შინაურულად წარმოება, რომ მისგან მეტი შემოსავალი ჰქონებოდაო“. სრულიადაც არა: ქალაქის უპირველესი მიზანი ის იყო, რომ მადანი სამუდამოდ არ გაიხრებულიყო კერძო მოიჯარადრეთა ხელში, და მადანს რომ ეს მოელოდდა, ყველა ნათლად დარწმუნდება, ვინც მას ადგილობრივ ინახულებს. „ქალაქმა ეკლარის საქმის პირველ მოსაწყობად 3800 მანეთი დახარჯაო“—სრულიად სიცრუეა: ქალაქისაგან საქმის მოწყობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მმართველისათვის ერთი თორმეტ თუმნიანი ცხენი შეიძინა თავისის უნაგირით; მაგრამ ეს ცხენი მარტო ეკლარის მმართველისათვის კი არა, საღორიის აგარაკის მმართველისათვისაცაა ნაყიდი; ასე რომ—თორმეტის თუმნიდან ეკლარის ხარჯად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ექვსი თუმანი; გარდა ამისა, თითქმის წლის ბოლოს ქალაქმა ააშენა ეკლარაში მუშების სადგომი კაზარმა, რომელსაც დაახარჯა 405 მან., და ორმოციოდე მანეთისაც ქვის სამუშაო იარაღები იყიდა; ე. ი. სულ დახარჯა პირველ მოსაწყობად 505 მანეთი, და არა 3800! სიმართლეს მოკლებულია ის აზრიც, ვითომც ეკლარის მმართველს 600 მანეთი ეძლეოდეს წლიურად: ეკლარის მართვისათვის მას 600 მანეთი კი არა, 240 მანეთი ეძლევა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ქვევითაა „ძაღლის თავი ჩამარხული“. ავტორი ჩვეულებრივის ირონიით ბრძანებს: „მთელის წლის შემოსავალი უდრის 400 მანეთს!“-ო. ამას კი, აღარ ვიცი, რაღა ვუწოდო! და ამის მიზეზიც თურმე იგივე მმართველი ყოფილა, რომელსაც, ავტორის სიტყვით, ქალაქის გამგეობაში უფრო სასიამოვნო საქმე უშოვია, ჩაწერილა ქუთათურ „პროგრესისტების“ (ბრჭალები, რასაკვირველია, ავტორისაა!) წრეში და „ივერიის“ (შეშლია, „ცნობის ფურცელი“ უნდა ეთქვა. უთუოდ განგებ უშვებს შეცდომას ეს გულუბრყვილო ბავში!) ფურცლებზე დაუწყია ქალაქისა, შავი-ქვის მრეწველთა, საკრედიტო ბანკისა და სხვა საქმეთა გამოქვეყნება, მხოლოდ, **რასაკვირველია**, **ცნობილის მხრით** აძლევს მათ განათებასო. თუმცა ეჭვიანი არა ვარ, მაგრამ აქ რაღაც უნებურად მებადება ეჭვი: ეს Д. В—ъ ერთს ადგილას ჩემგან აწერილი „ძალად თავმჯდომარე“ ხომ არ ბრძანდება, რომელსაც ასე აწუხებს დონ-ვალიანისაგან ქალაქის გამგეობაში **სასიამოვნო** საქმის შოვნა? თუ ჩემი ეჭვი მართალია, მაშინ ადვილი ვასაგები იქნება, თუ რად დასჭირვებია ბ-ნს Д. В-ъ-ს დონ-ვალიანის გაზეთებში თანამშრომლობის წინააღმდეგ ამხედრება. მართალია, ის კი თანამშრომლობს, მაგრამ ამით სრულიადაც არ ახდენს ეკლარის საქმეს და ვერც Д. В-ъ-ები აიძულებენ მას, თავისუფალი დრო კერძო საქმეებს მოახმაროს. ის კი რად დასჭირდა ბ-ნს Д. В-ъ-ს, რომ ეთქვა, ეკლარიდან მთელი შემოსავალი 400 მანეთი იყოო? სიმართლის გაგება თუ ჰსურს, მე მოვახსენებ, რომ მთელის წლის, უკეთ რომ ვსთქვათ—შვიდის თვისა, რადგან მხოლოდ 7 თვის განმავლობაში აწარმოებდა ქალაქი ეკლარის მადანს—შემოსავალი 2367 მან. 60 კაპ. იყო; მაგრამ მას, ეტყობა, სიმართლის გაგება კი არა, განგებ წყლის ამღვრევა და შემდეგ შიგ თევზის ჭერა ჰსურდა. მიაღწია მან ამ მიზანს, თუ ვერა, მე ამის შესახებ არას ვიტყვი, მხოლოდ ის კი უნდა ვსთქვა, რომ ბ-ნ Д. В-ъ-ის ერთგვარი ბრალდება ეკლარის შესახებ თავიდან ბოლომდის სიცრუეა და „Тифлисскій Листокъ“-ისა და „Черноморскій Вѣстникъ“-ის ვაქსის სახვევი ფურცლები სიხარულით რომ გულში არ იკრავდნენ ასეთს მარგალიტებს, სხვა გაზეთები სწორედ არ იკადრებდნენ ამ საზიზღარ ცილისწამებისათვის ადგილის დათმობას.

დასასრულ მე ვიხდი ნიღაბს და ვაცხადებ ჩემს ვინაობას და ამასვე ვსთხოვ ბ-ნს Д. В ъ-საც.

დათიკო აბულაძე.

სასამართლო

ქურდობის საქმე

გუშინ, 11 მარტს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფ. მეხოვრების, სამჯერ ქურდობის ჩადენისათვის უკვე დარსება ჩამორთმეულის კონსტ. მესხიშვილისა, რომელსაც მეათეხედ ქურდობა ჰბრალდებოდა. მესხიშვილს ამ ერთი,ს წლის წინად შეუნიშნავს, სოფელ გურჯაანის მეხოვრებს, ტფილისში დროებით ჩამოსულს. პეტრე აკოფაშვილს ჰქონდა 75 მანეთამდე და მოჯამაგირეებია ჯიბგირსავე მჭედლიშვილს (მჭედლიშვილი ვერ აღმოუჩენიათ) აკოფაშვილისათვის ფული ამოეცალათ. ერთხელ გაუგიათ თრივეს ქუჩაში. წინ მიმავალს მჭედლიშვილს განგებ დაუგდია რიღაცით სავსე ქისა, რომელიც იქვე მუთ აკოფაშვილს აუღია და ჯიბეში ჩაუდვია. ამ დროს წამოსწევია მესხიშვილი და ყურში უთქვამს, სადმე მივარდნილ ადგილას წავიდეთ, გა ფული რომ იპოვნე, მეც უნდა გამიყო, თორემ პოლიციას გეტყვი და შენს თავს ეხლავე დაგაჭერინებო. აკოფაშვილი გაჰყოლია უკან. რიცა დანიშნულ ადგილზე მისულან, წამოსწევია იმათ მჭედლიშვილი და უთქვამს, ქისა დავკარგე, რომელშიაც 1000 მან. მქონდა, მე ნამდვილად ვიცი, თქვენ იპოვნეთ და დამიბრუნეთო. აკოფაშვილს ამოუღია თრივე ქისა, გადაუცია მჭედლიშვილისათვის და უთქვამს, მე გიპოვნე ეს ქისა და ამაში რაღაც ქაღალდის ნაჭერია, ხოლო ჩემს ჯიბეში 75 მან. მაქვს ჩემი საკუთარი და ნახეთ, თუ არა გჯერათო. მჭედლიშვილს მოხერხებით აკოფაშვილის ქისიდან 75 მან. ამოუღია, ნაცვლად ქაღალდები ჩაუწყვია და უკანვე დაუბრუნებია. აკოფაშვილს ეჭვიც არ აუღია, რომ ფულები მოჰპარეს. შემდეგ გაიგო მხოლოდ ყველაფერი და პოლიციისთვის შეუტყობინებია. მესხიშვილი დაუპატიმრებიათ და პასუხის გებაში მიუციათ. სასამართლოში იგი გამოტყდა. ოლქის სასამართლოს, როდესაც ეს საქმე განუხილავს, მესხიშვილი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლითა და 6 თვით გაგზავნა. პალატამაც დამნაშავედ იცნო მესხიშვილი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

კარაკასი. კონგრესმა ერთხმად უარი გამოაცხადა კასტროს სამსახურიდან გადადგომაზე.

კონსტანტინოპოლი. საფინანსო კომისიამ 8 მარტს დაასრულა მოლაპარაკება ვალების გაერთიანების შესახებ. ამ საგანზე მოხსენება მინისტრთა საბჭოს წარედგინა.

მონტევიდეო. მთავრობამ და ინსურგენტებმა დღეს მორიგების პირობას მოაწერეს ხელი. ამ ამბავმა საერთო სიხარული და კმაყოფილება ჩამოაგდო.

ნეაპოლი. 9 მარტს საქსონიის კრონპრინცი ჩამოვიდა და რამდენსამე დღეს დარჩება აქ.

კარაკასი. სამსახურიდან გადადგომის შესახებ თავისს სთხოვარზე უარის თქმას არ დასთანხმდა კასტრო და კონგრესს ხელ-მეორედ მოჰმართავს ახალის სთხოვარით.

ვაშინგტონი. ჩინეთის ამბების გამო სახელმწიფო დეპარტამენტის შეკითხვის შესახებ ჰონკონგმა გამოაცხადა: უცხოელებთან ცუდი დამოკიდებულება, შედარებით წინანდელთან, ამ უკანასკნელ დროს გაძლიერდა კიდეც კანტონისა და სიჩუანის ოლქებში, თუმცა ხალხი არ თანაუგრძნობს ამ გვარს მოძრაობას.

კაირო. გერმანიის კრონპრინცი სრულებით მორჩა.

სოფია. ბოლგარიის მინისტრთა კრიზისი შეიძლება არც-კი მოწესრიგდეს, სანამ საერთო კრება არ დასრულდება, რომელიც ერთ კვირაზე ადრე არაა მოსალოდნელი; ამის შემდეგ დინევის მდგომარეობა უფრო გაძნელებული შეიქნება.

ამსტერდამი. ტრანსვალის რესპუბლიკის პრეზიდენტად უფოლი შტეინი უფრო ავადაა.

11 მარტი.

ემდენი. შეუდგნენ მუშაობას გერმანიის მეორე კაბელის გასამართავად ემდენსა და ნიუიორკს შუა.

პორტ-ოფ-სპეინი. ინგლისის სამხედრო გემმა „პელე“-მა შეიპყრო ვენეცუელის სამხედრო გემი „რესტორადორი“. ამ გემს მეამბოხეები აზრადებს.

კუნეო. პიემონტში დღეს დიდით მიწაიძრა.

პარიზი სამხრეთ საფრანგეთში, ტარასკონფუსა და ეკსლებენში, 9 მარტს დილით მიწაიძრა.—გაზეთები იუწყებიან, რომ აბისინიიდან საფრანგეთის ელჩმა წამოსვლა გადასწყვიტა. მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე ფრანგი მისიონერი გაუდევნიათ და ფრანგი კაპიტანი საპყრობილეში ჩაუსვამთ. ელჩის ჩარევამ ჯერ-ჯერობით ნაყოფი ვერ მოიტანა.

კაიზერსლაუტერნი. ბავარიის შუაგულის სამხრეთ ნაწილში, ლანდაუდან ვინდენსა და ვერტამდე, 9 მარტს, დილის 6 საათსა და ნაშუადღევის 2 საათზე ძლიერად მიწა იძრა.

ასხაბადი. „ზაკასპ. ობოზრ.“-ს ანდიჯანიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სატეხნიკო კომისიამ შეიმუშავა განსაკუთრებული ტიპი სახაზინო შენობათათვის ანდიჯანში. შესდგა საამშენებლო კომიტეტი. ერთ ნაწილს შენობებისას ხაზინის ხარჯით აგებენ, მეორეს—ქალაქის ხარჯით. მალე შეუდგებიან დანგრეულ ქალაქის განახლებას. საჭირო იქნება დიდძალი მუშა და ხელოსანი. სასურველია ევროპის რუსეთიდან მთელი არტელების მოსვლა. კერძო შენობებს ნელ-ნელა აშენებენ.

ვორონეჟი. დამე გაქურდეს ადექსეევის მონასტერი. წაიღეს სხვა-და-სხვა ნივთები და ფული.

პარიზი. 10 მარტს სენატმა დაამტკიცა ბიუჯეტები სარწმუნოებისა, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებისა. აგრეთვე ბიუჯეტი ზარაფხანისა. ჰფიქრობენ, ნიკელის ფულის შემოღებას.

ტანჟერი. სულთანის ჯარი ფეციდან წავიდა. სულთანი ფეციდან აღდგომის შემდეგ წავა.

კარაკასი. დღეს პარლამენტის სხდომაზე სადიპლომატო კორპუსის თანადასწრებით, კასტრომ წაიკითხა გზისტილე კონგრესთან. კასტრო ამბობს, რომ ევროპიელების ამ საქმეში ჩარევის მიზეზი იყო კავშირი იმ ხალხთა, რომელთაც, რაკი ვერ შესძლეს თავიანთი პრეტენზიის წარმოდგენა სასამართლოში განსახილველად, მიჰმართეს ძალას; იმათ ეს ჩაიდინეს იმიტომ; რომ მან, კასტრომ, უარი განაცხადა დამორჩილებოდა ინგლისისა და გერმანიის მოთხოვნას; ისინი მოქმედებდნენ საიდუმლოთ მათთან ერთად და სცდილობდნენ ჩემს, კასტროს, თავიდან მოშორებას. ახლა, როდესაც ერის უმაღლესი უფლებანი დაცულია, თავს ანებებს სამსახურს. უცხოელები ვენეცუელას თავს დაუსხნენ ძლიერმორეობის უფლებით; მათ გათელეს სიმართლე და კანონები ცივილიზაციის დარღვევით და უფლების დაპყრობით.

ბერლინი. „ნაციონალ ცეიტუნგს“ გაუგია სარწმუნო წყაროებიდან პროგრამმა გერმანიის კრონპრინცისა და პრინც ეიტელ ფრიდრიხის მოგზაურობისა: სტამბოლიდან ათინაში აპირებენ წასვლას.

„კელნის გაზეთს“ სწერენ სტამბოლიდან, რომ ანატოლიის რკინის გზის კეთება კონიამდე და ერეგლიამდე 2 მაისისათვის დანიშნეს. ჰაიდარ ფაშის ნავთსადგურს გახსნიან აპრილში.

ნიუ იორკი. კარაკასიდან იუწყებიან, რომ ვენეცუელის სამხედრო გემი „რესტორადორი“ ზღვაში სამეკობრეოდ წავიდა და ხელთ ჩაიგდო სავაჭრო ხომალდი.

სოფია. უთანხმოება, სამხედრო მინისტრს პაპრიკოვსა და მინისტრ-პრეზიდენტს შორის ჩამოვარდნილი, ჯერაც ვერ მოაგვარეს. იმედია ქვთ, რომ პაპრიკოვი დარჩება; დღეს იგი სამხედრო სამინისტროში იყო. სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომ დანევი ასრულებდა დროებით სამხედრო მინისტრის თანამდებობას.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია სამხედრო უწყებისათვის უმაღლესი ბრძანება, რომ სასჯელთა შესახებ სამხედრო წესდების მე-2 და მე-4 ნაწილებში ჩამატებულ იქმნას წესები იმათ პასუხის გების შესახებ, ვინც სამხედრო სადღუმლოს გასცემს და ჯაშუშობას გასწევს მშვიდობიანობის დროს.—სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად უმაღლესად დამტკიცებულმა საბჭომ 1902 წლის 23 ნოემბრისა და ამა წლის 11 იანვრის სხდომაზე საჭიროდ სცნო ითხოვოს უმაღლესად ნება რთვა იმისთვის, რომ შეიტანოს სახელმწიფო საბჭოში წინადადება იმ კანონების განმარტების გამო, რომელიც უქმე დღეებს შეეხება. უნდა განმარტებულ იქმნას, რომ კანონები არ შეიცავენ ისეთ წესს, რომლითაც აკრძალული იყოს ნება-ყოფლობით მუშაობა დღესასწაულებში. ამას გარდა საბჭომ საჭიროდ სცნო უმაღლესის ნებართვით მიენდოს სინოდის ობერ-პროკურორს წინადადება შეიტანოს უწმ. სინოდში, საჭიროდ ხომ არ დაინახავს იგი დაავალოს ეპარქიის უფროსებს, საკანცელარიო ...ხალხს მღვდლებისათვის, რომ განუმარტონ ხოლმე მრევლს ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა დღესასწაულებისა და ყოველი საშუალება იხმარონ, რომ მრევლი შრომას ეძლეოდეს და ერიდებოდეს მეურნეობის დამაქვეითებელ დღესასწაულობას, აგრეთვე ახალი დღესასწაულების შემოღებას, ისეთ დღესასწაულებისა, რომელიც არც საეკლესიო და არც სამოქალაქო კანონებით არ არის დაწესებული. მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ზემოდ აღნიშნულ დადგენილების კანონის წესით გადაწყვეტის შემდეგ, განმარტოს გუბერნატორების შემწეობით, რომ პოლიციისა და სოფლის მოხელეებს უფლება არა აქვთ აუკრძალონ მცხოვრებთ ნება ყოფლობით მუშაობა დღესასწაულებში.

რვა მარტს ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით შესდგა წლიური საზოგადო კრება რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებისა. კრებაში მონაწილეობა მიიღეს დიდმა მთავრებმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ და ნიკოლოზ მიხეილის ძემ და დაესწრნენ გრაფი ლამსდორფი და სხვ.

„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ განსაკუთრებულ საბჭოში, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგება, განსახილველად ზოგიერთ კითხვებისა, ხალხის კვების უზრუნველყოფის წესდების გამოცემისათვის. პირველი სხდომა შესდგა 7 მარტს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

[illegible]

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამზაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის ძალით, მეეტლეობის ხელობის შესახებ ქალაქ ტფილისში, ამით აუწყებს ეტლების პატრონს, რომ 14 მარტს, პარასკევს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სუბუქ მეეტლეთათვის უსტაბაშებისა და მათ კანდიდატების არჩევნები, ხოლო მძიმე მეეტლეთათვის (პოვოსკებ-დროგების პატრონთათვის) 16 მარტს, კვირას, დილის 10 საათზე. (3—1)

ტეხნიკოსი

ზიგო თოიძე

იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწდომ პირობით. ტფილისი, ჩუღურეთი, კონსხანის ქუჩა 28. (10—6.—6)

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)